ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრის, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის

ზურაბ ჩიკვილაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2021-2022 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია 4

სხვა აქტივობები 16

ვიზიტი ი. ბოკერიას სახელობის ნეიროგანვითარების ცენტრში 16

სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული სრულწლოვანი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობასთან და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხზე 17

ვიზიტი ეროვნული სკრინინგ ცენტრის გლდანის ფილიალში 17

ვიზიტი თბილისის ლილოს მუნიციპალურ თავშესაფარში 19

სისხლის დონაციის აქცია უკრაინელი ხალხის დასახმარებლად 20

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 20

სამუშაო შეხვედრა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან 22

ექიმების პროფესიულ დღესთან დაკავშირებით ვიზიტი ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში 23

ვიზიტი სარეაბილიტაციო ცენტრში „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება'' 23

სამუშაო შეხვედრა საქველმოქმედო ორგანიზაციებთან 24

მემორანდუმი თბილისის საკრებულოსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის 24

მედიკამენტების გადაცემა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად 25

ვიზიტი „ევექსის'' პოლიკლინიკაში 26

ვიზიტი ერთად, თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრში 26

ვიზიტი ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტში 27

ჩართვა ტელეკომპანია მაესტროს პირდაპირ ეთერში 27

ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის განახლებული ფილიალის გახსნა 27

სამუშაო შეხვედრა მრავალშვილიანთა საკითხებზე მომუშავე საინიციატივო გუნდის წარმომადგენლებთან 28

ვიზიტი კრწანისის რაიონში მდებარე სოციალურად დაუცველთა სასადილოში 29

სამუშაო შეხვედრა გაიმართა „ევროპა დონა საქართველოს" წარმომადგენლებთან 29

ვიზიტი თბილისის 191-ე და 163-ე საჯარო ბაგა-ბაღების შენობებში მდებარე სოციალური მზრუნველობის სააგენტოებში..... 30

სამუშაო შეხვედრა გაიმართა ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლებთან 31

ვიზიტი აკადემიკოსი გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში..... 31

ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 32

ვიზიტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში 33

ვიზიტი ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრში „მზის სივრცე'' 34

ვიზიტი სკრინინგ ცენტრის ფილიალში..... 34

ზურაბ ჩიკვილაძე - ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი..... 35

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრის ზურაბ ჩიკვილაძის და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში..... 37

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული საჭიროებები..... 39

მოქალაქეებთან კომუნიკაცია 40
სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები 41

ინფრასტრუქტურა 42

კეთილმოწყობის ღონისძიებები..... 43

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა - სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული პროექტები 44

კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა 45

განხორციელებული აქტივობები:..... 46

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები 55

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი..... 55

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი 55

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, 2021 წლის დეკემბრიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 მოწვევის მაჟორიტარი წევრი (ჩუღურეთის რაიონი), ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2021 წლის დეკემბრიდან დღემდე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 16 კომისიის სხდომის ჩატარებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 45 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა 121 განცხადება/წერილი, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეთა მიღებაზე გამოცხადებულ მოქალაქეებს გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ მონახაზს იმ საკითხებზე, რომლებზეც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და გასცა რეკომენდაციები.

შესწავლილი საკითხები:

2021 წლის 7 დეკემბერი

თბილისის საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დედაქალაქის მთავრობის, მერის მოადგილეების, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელების და გამგებლების კანდიდატურები განიხილეს.

2022 წელს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების მიმართულებით ბიუჯეტი 30 მილიონი ლარით გაიზარდა. ამჟამად ჯანდაცვის და სოციალური დახმარების

მიმართულებით მუშაობს 40-მდე ცალკეული პროგრამა/ქვეპროგრამა, ხოლო ყოველწლიურად ამ მიმართულებით ხდება ახალი პროგრამების დანერგვა, შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების პროგრამული ბიუჯეტის ზრდა.

კომისია კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საკრებულოს წევრების შეკითხვები ეხებოდა დედაქალაქისთვის აქტუალურ ყველა მიმართულებას: ფუნქციური ცვლილებების შეზღუდვას, მიწების მიტაცების საკითხს, ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამას, სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს, სატრანსპორტო პოლიტიკას, საქალაქო პარკების მოწყობას, ინფრასტრუქტურულ პროგრამებს, ქუჩების რეაბილიტაციას, ბიბლიოთეკების, მუზეუმების რეაბილიტაციას და ბაღების მშენებლობას, თბილისში არსებულ მეწყერულ ზონებს, მულტიფუნქციურ ცენტრებს, ელიავას ბაზრობის და ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემების მოგვარებას.

2021 წლის 20 დეკემბერი

დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვიდე მოწვევის შემადგენლობის ფარგლებში, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.

კომისიის პირველ, გაცნობითი ხასიათის სხდომაზე განხილულ იქნა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და დაიგეგმა სამომავლო პროექტები.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, ამავე კომისიის წევრი ირაკლი ხელაძე აირჩიეს.

2021 წლის 21 დეკემბერი

თბილისის საკრებულოს ოთხი კომისიის - ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

აღნიშნული კომისიის წევრებმა დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებას მხარი დაუჭირეს. საკითხი მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ

წარადგინა. თბილისის მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა, რომლის შესახებაც გაიოზ თალაკვაძემ საკრებულოს წევრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

აღნიშნული საკითხების გარდა, გაერთიანებულ სხდომაზე, თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილებაზე იმსჯელეს.

2021 წლის 24 დეკემბერი

კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი“ განიხილეს.

თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა 1 305 418,2 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 050 302,5 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 255 115,7 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით 105 501,2 ათასი ლარით მეტია.

გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის - „მეტის სიცოცხლე ყველა უბანში“ გათვალისწინებით, მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტით, ასიგნებები შემდეგ პრიორიტეტებზე გადანაწილდება: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 176 777,0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (154 136,0 ათასი ლარი) გაზრდილია 22 641,0 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 290,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: ქვეპროგრამის - სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა ასიგნებები 290,0 ათასი ლარით გაიზარდა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გაგრძელდა იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი არიან გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე

და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონის გამგეობების მიერ გაგრძელდა რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა. მათ შორის: მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება.

ქვეპროგრამებს შორის განსაკუთრებით აღინიშნა სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობის, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება თბილისში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, საპენსიო ასაკის პირთათვის, ექიმის დანიშნულების შესაბამისად, მედიკამენტების დაფინანსება, მაქსიმუმ 500 ლარის ოდენობით, არამატერიალური სახის ვაუჩერით.~

2021 წლის 29 დეკემბერი

კომისიის სხდომაზე თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ იმსჯელეს. საკითხი კომისიის წევრებს თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარუდგინა.

ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების დადგენილების პროექტის თანახმად, მტკიცდება თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის შვიდი ქვეპროგრამის : „დაავადებათა სკრინინგის“, „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის“, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“, „ტრანსპლანტაციის“, „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების“ და „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების“ ქვეპროგრამების განხორციელების წესები.

სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების დადგენილების პროექტით მტკიცდება „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ განხორციელების წესი”, მტკიცდება „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ

ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი”, „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამების განხორციელების წესი”, „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპოგრამების განხორციელების წესი“, „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში” ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.

კომისიის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტით ემატება „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტებით დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების პირობებს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის წლიური ლიმიტი შეადგენს 500 ლარს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად ლიმიტის ამოწურვამდე, კალენდარული წლის განმავლობაში.

კომისიის სხდომაზე ასევე განიხილეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც გამგეობის უფლებამოსილების ფარგლებში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხის ოდენობის 500 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

2022 წლის 25 იანვარი

სხდომაზე, კომისიის წევრებმა „თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ იმსჯელეს.

პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრებლით უზრუნველყოფის კრიტერიუმებში. კერძოდ, დაკონკრეტდა ის

სუბიექტები, რომლებიც კომისიას პირის/ოჯახის შესახებ ინფორმაციას აწვდის. ასეთებად განისაზღვრა შემდეგი დაწესებულებები: თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრაციის კრიტერიუმის დაკმაყოფილების შესახებ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ფართზე მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტისა და ქირის დამოუკიდებლად გადახდის შესახებ - შესაბამისმა გამგეობამ, საკმარისი შემოსავლების არსებობის კრიტერიუმთან დაკავშირებით კი კომისიას ინფორმაციას შემოსავლების სამსახურმა და შესაბამისმა საბანკო დაწესებულებამ (დაწესებულებებმა) უნდა მიაწოდონ. „სამუშაოს მაძიებლად“ რეგისტრაციის კრიტერიუმის შესახებ ინფორმაციას კომისიას -სოციალური მომსახურების სააგენტო აწვდის.

პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის განსაზღვრულ, კომისიის მიერ, უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრირებულ პირთათვის/ოჯახებისათვის ქულათა მინიჭების იმ სისტემაში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რიგითობა.

2022 წლის 08 თებერვალი

კომისიის წევრებმა, თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა სოციალური (დამხარების) ღონისძიებები რაიონებში“ ფარგლებში მოქალაქეთა დამხარების გაცემის წესის შესახებ ცვლილებებზე ისაუბრეს.

საკითხი კომისიის წევრებს კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ წარუდგინა, რომლის ინიციატივითაც ზემოთაღნიშნულ წესში ცვლილების შეტანის თანახმად, გათვალისწინებული დახმარებები, მძიმე დაავადებების მქონე და შეჭირვებული ბენეფიციარებისთვის გახდეს მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი.

2022 წლის 18 მარტი

სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ, საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15, N5-14 დადგენილებებში ცვლილებების შეტანაზე იმსჯელეს.

ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის თანახმად, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-5 და მე-9 მუხლებში ცვლილება შევიდა. შეიცვალა მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა. კერძოდ, ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას, ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა ხორციელდება არა მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოდგენილი სიის შესაბამისად, არამედ მიმწოდებლის წერილის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ქვეპროგრამაში ჩართვისას პრიორიტეტი მიენიჭება იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელს განცხადებით.

რაც შეეხება, „სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესში შესატან ცვლილებას, ქვეპროგრამით მოსარგებლეების განმარტების მუხლში დაზუსტდა, რომ ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირები, რომელთაც აღნიშნული სტატუსი მინიჭებული აქვთ ქალაქ თბილისში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. ასევე, მიმწოდებლის მიერ ანგარიშგების წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალიდან ამოღებულია ფორმა №IV-100/ა, ვინაიდან პირის ქვეპროგრამაში ჩართვის ეტაპზე, ეს დოკუმენტაცია წარმოდგენილია ელექტრონულად.ასევე, მე-4 მუხლში გასწორდა ტერმინი და „კანონიერი წარმომადგენლის“ ნაცვლად მიეთითა „წარმომადგენელი“.

2022 წლის 15 აპრილი

სხდომაზე თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილება განიხილეს.

პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში. კერძოდ,ქვეპროგრამის ბენეფიციარების ლიმიტი გაიზარდა 175 ერთეულით, შესაბამისად ქვეპროგრამით

გათვალისწინებულ მომსახურებას 1375 ბენეფიციარის ნაცვლად, თვეში არაუმეტეს 1550 ბენეფიციარი მიიღებს.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშსაც მოუსმინეს.

2022 წლის 27 აპრილი

კომისიის სხდომაზე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ჯანმრთელი ქალაქების ქსელში თბილისის გაწევრიანებასთან დაკავშირებით იმსჯელეს.

ჯანმრთელი ქალაქების ქსელში გაწევრიანება უფრო მეტად ჯანსაღ, სუფთა, ადამიანებზე მორგებულ ქალაქს ნიშნავს. ჯანმრთელი ქალაქების ევროპული ქსელის განვითარების პროცესი აქტიურად და მძლავრად მიმდინარეობს და ინსპირაციისა და სწავლის პლატფორმაა ევროპული ქალაქებისთვის, რომლებიც მუშაობენ თანაბარხელმისაწვდომი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.

თბილისის ჯანმრთელი ქალაქების ევროპულ ქსელში გაწევრიანების ინიციატივა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორის ჰანს კლუგეს ეკუთვნის, რომელიც 2020 წლის დეკემბერში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

2022 წლის 20 მაისი

კომისიის სხდომაზე ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს დირექტორს დავით დოლიძეს მოუსმინეს, რომელმაც სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარადგინა.

დავით დოლიძემ კომისიის წევრებს თბილისის მუნიციპალიტეტში ბავშვის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით უკვე გატარებული და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა რომ, სოციალური მუშაკების მიერ ვიზიტი უკვე 146 210 ოჯახში განხორციელდა.

სააგენტოს დირექტორმა საკრებულოს წევრებს სტატისტიკური მონაცემები გააცნო და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგენტოს გახსნილი აქვს 30 სამოქმედო უბანი, რომლებიც საბავშვო ბაგა-ბაღებშია განთავსებული. სააგენტოში დასაქმებული სოციალური

მუშაკები, რომლებიც თავიანთ მოვალეობებს ახორციელებენ, საერთაშორისო ორგანიზაცია „ვორლდვიჟენ საქართველოს“ პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია „ბავშვთა კეთილდღეობის ლიგის“ მომზადებული მოდულის მიხედვით, მასწავლებლის სახლისა და ზემოთაღნიშნული ორგანიზაციის მიერ არიან გადამზადებულნი.

2022 წლის 21 ივნისი

კომისიის წევრებმა, სხდომაზე „თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შესახებ იმსჯელეს.

ცვლილება ზემოთაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ რამდენიმე მუხლში შევიდა. კერძოდ, მოქმედი რედაქციით, იმისათვის რომ მოსარგებლე შესაბამისი მედიკამენტით დაფინანსებულიყო, სიმსივნური კვანძი 2 სანტიმეტრზე მეტი უნდა ყოფილიყო. ახალი რედაქციით სიმსივნური კვანძი 2 სანტიმეტრისაც რომ იყოს დაფინანსება იმ შემთხვევაშიც მოხდება.

ასევე წესს ემატება ახალი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საჭირო ინექციის შემთხვევაში - რეჟიმის უწყვეტობის დარღვევის დროს (მხოლოდ ოპერაციული ჩარევის შემთხვევაში) თუ ინფუზიებს ან ინექციებს შორის ინტერვალი 6 კვირაზე მეტია, მკურნალობა აღდგება საწყისი დოზით და გაგრძელდება ხელშემწყობი დოზით.

2022 წლის 12 ივლისი

კომისიის წევრებმა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი განიხილეს. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა სულ 1017,5 ათასი ლარით იზრდება და 1 395 751,0 ათას ლარს შეადგენს. სხდომაზე პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე გადანაწილებულ ასიგნებებზე იმსჯელეს.

ამასთან, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა - მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის შესახებ. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული საცხოვრისების მომსახურების დაფინანსება არამატერიალიზებული სახის ვაუჩერით. ასევე, გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებებით უზრუნველყოფა: ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა, საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა,ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო და არაფორმალური განათლების დონის ამაღლება, ბენეფიციარის პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მოსარგებლედ პირის აღიარების გადაწყვეტილებას იღებს „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების 40 სააგენტოს“ რეგიონული საბჭო. ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისთვის შეადგენს თვეში 500 ლარს.

2022 წლის 09 აგვისტო

კომისიის წევრებმა, სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ იმსჯელეს.

საკრებულოს წევრებს მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა გააცნო პროექტი, რომელიც „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ ახალი ქვეპროგრამის განხორციელების წესს მოიცავს.

აღნიშნული ქვეპროგრამა მიზნად ისახავს 18-დან 21 წლამდე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას, რომლებმაც სრულწლოვანების მიღწევის გამო დატოვეს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის სახლები, საჭიროებენ საცხოვრისს და ჯერ კიდევ არ აქვთ დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობა.

წესი ასევე ადგენს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სახეებს, რომლის თანახმადაც, ქვეპროგრამის კომპონენტებს მიეკუთვნება მოსარგებლეზე მორგებული და მასთან შეთანხმებული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა, საცხოვრებელი პირობებითა და ყველა აუცილებელი ინვენტარით უზრუნველყოფა, დასაქმების ხელშეწყობა, სამუშაოს ძიებისა და დასაქმების უნარების განვითარება, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გაწევა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური განათლების მიღების მხარდაჭერა, პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული მომსახურებების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება შეადგენს თვეში 500 ლარს.

2022 წლის 09 სექტემბერი

კომისიის სხდომაზე იმსჯელეს ახალი ქვეპროგრამის შესახებ, რომელიც ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით უზრუნველყოფას მოიცავს.

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ბენეფიციართა ჰოსპისში განთავსებას, საჭიროების შემთხვევაში მათთვის პირველადი დახმარების აღმოჩენას, კვებას, საყოფაცხოვრებო და პირადი ჰიგიენის ნივთებით, სანიტარულ მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სტრუქტურაში გადამისამართებას უზრუნველყოფს.

2022 წლის 07 ოქტომბერი

სხდომაზე „თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ "საკრებულოს დადგენილების პროექტში შესატან ცვლილებაზე იმსჯელეს.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის მოცულობა 104 845,6 ათასი ლარით იზრდებადა 1 559 866,6 ათას ლარს შეადგენს. ბიუჯეტში ცვლილებები მიმდინარე წლის ბოლომდე მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით ხორციელდება. წარმოდგენილ პროექტში ასევე გათვალისწინებულია თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის

გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის შესაბამისად, ასიგნებები ხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე გადანაწილდა.

წარმოდგენილი ბიუჯეტით იზრდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების, კომუნალური სუბსიდირების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთისა და ვაკის რაიონებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის, სოციალურად დაუცველი 18 წლამდეშე ზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების ქვეპროგრამების დაფინანსება. ზრდა ჯამში 5 მილიონ ლარამდე აღწევს.

სხვა აქტივობები

2021 წლის 18 თებერვალი

ვიზიტი ი. ბოკერიას სახელობის ნეიროგანვითარების ცენტრში

ცენტრში ვიზიტისას პანდემიის პერიოდში "აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის" პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებთან მუშაობის პრინციპს გავეცანი, დავათვალიერე არსებული გარემო, სადაც ბავშვები და მოზარდები თერაპიას გადიან. ასევე შევხვდი პროგრამების ხელმძღვანელს ზაზა კაკუშაძეს და გავესაუბრე მულტიდსციპლინარული გუნდის წევრებს.

"აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა" 2015 წლიდან ხორციელდება. დღეისათვის, ამ პროგრამის ბიუჯეტი 6 მილიონამდე ლარს შეადგენს და 1400-მდე ბავშვს და მოზარდს ემსახურება. ბენეფიციარის დასაფინანსებლად წელიწადში 5000-ლარამდეა გათვალისწინებული, პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ასაკი 18-წლამდე გაიზარდა. ბავშვები და მოზარდები აბილიტაციას დედაქალაქში არსებულ შვიდ ცენტრში გადიან.

მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი ოჯახი, არც ერთი ბავშვი და 18 წლამდე მოზარდი ჩვენი ყურადღებისა და დაფინანსების გარეშე არ დარჩეს. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ "აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის"გაძლიერება, ბავშვების ნათელი მომავლის გარანტიაა.



2021 წლის 22 თებერვალი

სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული სრულწლოვანი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობასთან და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხზე

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული სრულწლოვანი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, ქ.თბილისის მუნიციპალიეტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროს გელა ჩივიაშვილთან ერთად შევხვდი საქართველოს "SOS ბავშვთა სოფელის" პროგრამების განვითარების ეროვნული დირექტორს თამარ ჭანტურიას, თბილისის პროგრამის დირექტორს მარინე შაღაშვილი-ქავთარაძეს და ამავე პროგრამის ეროვნულ მრჩეველს (ალტერნატიული ზრუნვა) - გურანდა თეთრაძეს.
შეხვედრაზე ვიმსჯელეთ სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდამჭერი პროგრამის გაძლიერებაზე, მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში ბენეფიციართა საჭიროებებს მორგებული ვაუჩერული დაფინანსების ჩამოყალიბებაზე, რომელიც 18 წლის ასაკს გადაცილებული ახალგაზრდების ბინის ქირით უზრუნველყოფას მოიცავს, რაც მათი დამოუკიდებელი ცხოვრების კოეფიციენტის გაზრდის და სრულფასოვანი ცხოვრების წინაპირობაა.

2022 წლის 28 თებერვალი

ვიზიტი ეროვნული სკრინინგ ცენტრის გლდანის ფილიალში

სკრინინგ ცენტრში ვიზიტზე ვიმყოფებოდი კომისის წევრებთან და ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილთან ერთად.

სკრინინგ ცენტრის დირექტორმა ეთერ კიღურაძემ დაგთვალიერებინა ცენტრი, სადაც მოქალაქეები იღებენ სერვისს. ასევე შევხვდი სამედიცინო პერსონალს, რომლებმაც სკრინინგის,როგორც ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის საუკეთესო საშუალებაზე

ისაუბრეს. ასევე, გაგვაცნეს ის თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლითაც აღჭურვილია ცენტრი და რომლითაც მიმდინარეობს არსებული პროგრამის განხორციელება.

ეთერ კიღურაძემ ცენტრში დანერგილი საპილოტე კვლევის უახლესი მეთოდის შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია, რაც HPV (კოლპოსკოპია ჰისტოლოგიური კვლევით) ტესტირებას მოიცავს. სკრინინგ პროგრამაში ჩართულობა უზრუნველყოფს კვლევების ყველა ეტაპის გავლას, რომელიც 25-დან 60 წლამდე ქალებს და 50-დან 70-წლამდე მამაკაცებს მოიცავს.

შეხვედრისას, ეთერ კიღურაძემ ისაუბრა სკრინინგ პროგრამის მიზნებზე, ახალ პროექტებზე, მიზნობრივი პოპულაციის გაზრდის მნიშვნელობასა და მოქალაქეებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაზე.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სკრინინგ პროგრამაში უფასო ჩართულობას ქ.თბილისის მერია უზრუნველყოფს, რაზეც 5 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. შეხვედრისას აქცენტი გავაკეთე მომართვიანობის, დაფინანსების და მოქალაქეების პერსონალიზებული მოწვევის საკითხებზე. სკრინინგის პროცესში უმთავრესია ინფორმირებულობის გაზრდა, რათა მოქალაქეები აქტიურად ჩაერთვნენ და ამ სიკეთის მიმღებნი გახდნენ, რასაც არსებული პროგრამა სთავაზობს მათ.

2022 წლის 01 მარტი

ვიზიტი თბილისის ლილოს მუნიციპალურ თავშესაფარში

კომისიის წევრებთან ერთად ვეწვიე ლილოს მუნიციპალურ თავშესაფარს, სადაც დეტალურად გავეცანით იქ არსებულ სიტუაციას, გავესაუბრეთ როგორც თანამშრომლებს ასევე თავშესაფრის ბენეფიციარებს. თავშესაფრის ხელმძღვანელობასთან ერთად ბენეფიციართა ყოფის გაუმჯობესების და ამ მიმართულებით არსებული რესურსების გამოყენების შესახებ ვიმსჯელეთ.

ლილოს თავშესაფარი 240 მაძიებელზე გათვლილი (120-ქალი, 120-მამაკაცი).
2021 წელს თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 180-მა ბენეფიციარმა. 2022 წლის იანვრიდან დღემდე პროგრამის მოსარგებლე 107 ბენეფიციარია. მოქალაქე თავშესაფარში თვითდინებით ან საპატრულო პოლიციის მიყვანის შედეგად ხვდება. რის შემდეგაც აღნიშნული პირი თავშესაფრის თანამშრომლებთან გაივლის შემოწმებას და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში გახდება ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ ბენეფიციარი. ბენეფიციარებთან მუშაობის პროცესში ჩართულები არიან სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. გუნდური მუშაობის პრინციპის საფუძველზე ხდება მაძიებელთა ფსიქოსოციალური შეფასება და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევა, რაშიც ბენეფიციართა შრომით, ფსიქო და არტ-თერაპიაში ჩართულობა მნიშვნელოვანია. პროგრამის ფარგლებში, თავშესაფრის მაცხოვრებლები უზრუნველყოფილნი არიან კვებით, პირველადი მოხმარების საგნებით და სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურებით. ამ მიმართულებით სპეციალისტთა მუშაობა, მათი კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.



2022 წლის 07 მარტი

სისხლის დონაციის აქცია უკრაინელი ხალხის დასახმარებლად

უკრაინელი ხალხის დასახმარებლად უანგარო დონაციის აქციის ფარგლებში, საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა სისხლი ჩააბარეს.

აქციის ფარგლებში, დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში, "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტთან“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად სისხლისა და სისხლის კომპონენტების საჭიროების მქონე პირთა სიცოცხლის გადარჩენა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და „ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის“ დირექტორმა ნიკოლოზ ჭელიძემ.

2022 წლის 21 მარტი

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის ინიციატივით დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
დედაქალაქის წარმომადგენლობითმა ორგანომ დაუნის სინდრომის ასოციაციის წევრებს, დაუნის სინდრომის მქონე მოზარდებსა და მათ მშობლებს უმასპინძლა.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე წელს უკრაინელი ხალხის სოლიდარობის ეგიდით ჩატარდა კამპანიაში #წინდამინდა-ს ფარგლებში, წინდების გაყიდვებიდან შემოსული თანხის 10% უკრაინის დაუნის სინდრომის ასოციაციას გადაერიცხა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორც შშმ პირთა საზოგადოებაში სრული ინტეგრაციის პროცესის, ასევე მათი თავისუფალ,თანასწორ, მშვიდობიან გარემოში ცხოვრების ხელშეწყობა. ამ დღის აღსანიშნავ ყოველწლიურ კამპანიებში ჩართულობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ამ ადამიანების პროფესიული უნარების განვითარებას და შემდგომში დასაქმებას ემსახურება. ღონისძიების ფარგლებში, ჭრელი წინდების და სოციალური საწარმო „ბაბალეს“ მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ასევე წარმოდგენილი იყო ფოტო-გამოფენა თანდართული ისტორიებით.

2022 წლის მთავარი გზავნილი ინკლუზიური გარემოს შექმნას და დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების საზოგადოებაში სრულყოფილ ჩართვას და ყველა აქტივობაში მონაწილეობას გულისხმობს.

2022 წლის 25 მარტი

სამუშაო შეხვედრა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

ქ. თბილისის საკრებულოში გავმართეთ შეხვედრა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასოციაციის წევრებთან და ბავშვების მშობლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ კომისიის წევრები და თბილისის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის შინაარსის შეცვლა, თვრამეტი წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციართათვის სერვისების შექმნა და მიწოდება, რაც აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა სოციალიზაციის და დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაზრდას უზრუნველყოფს.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა 18 წლამდე ასაკის მოზარდთა დაფინანსებას მოიცავს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, არცერთი ბავშვი, მოზარდი და საჭიროების მქონე პირი არ დარჩეს არსებული სერვისების მიღმა.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა“ 2015 წლის ივლისიდან ხორციელდება და დღემდე, მისი ბიუჯეტი 500 ათასი ლარიდან თითქმის 6 მლნ ლარამდე გაიზარდა. თავიდან პროგრამაში 325 ბავშვი იყო ჩართული, რომელთაც ორი ცენტრი ემსახურებოდა. დღეისთვის კი პროგრამაში რვა შესაბამისი დაწესებულებაა ჩართული და კომპლექსური თერაპიის კურსების გავლის შესაძლებლობა 1375 ბავშვს აქვს. დასაწყისში პროგრამაში ჩართვა 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს და მოზარდებს შეეძლოთ, 2020 წლიდან კი მათი ასაკი 18 წლამდე გაიზარდა.

2022 წლის 30 მარტი

ექიმების პროფესიულ დღესთან დაკავშირებით ვიზიტი ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად ექიმების პროფესიულ დღესთან დაკავშირებით მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ნეირომეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სრულ პროფესორს ნანა ტატიშვილს და აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ლომიძეს პირადად ვეწვიეთ.

2022 წლის 2 აპრილი

ვიზიტი სარეაბილიტაციო ცენტრში ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება''

აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილთან ერთად განვახორციელეთ ვიზიტი სარეაბილიტაციო ცენტრში "ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება".

გავეცანით "აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებთან მუშაობის პრინციპს, დავათვალიერეთ გარემო, სადაც ბავშვები და მოზარდები თერაპიას გადიან, შევხვდით ზემოთაღნიშნული ცენტრის დამფუძნებელს მაია ბიბილეიშვილს,

მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს, რომლებმაც აუტიზმის სპექტრის მქონე ბენეფიციარებთან მუშაობის პრინციპებზე და მათ საჭიროებებზე ისაუბრეს.

აღსანიშნავია, წელს „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის“ მოსარგებლეთა და სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების რაოდენობის ზრდა. პროგრამის ბიუჯეტი ექვს მილიონ ლარს გადააჭარბებს. პირველი აპრილიდან, ამ პროგრამით მოსარგებლე ბავშვთა და მოზარდთა რიცხვი 170–ით გაიზარდა და ჯამში 1545 ბავშვი და მოზარდი დაფინანსდება. სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებს კი, ერთი ცენტრი დაემატა. სულ, პროგრამას რვა დაწესებულება მოემსახურება.

2022 წლის 12 აპრილი

სამუშაო შეხვედრა საქველმოქმედო ორგანიზაციებთან

გავმართე სამუშაო შეხვედრა ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“-თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძესთან და საერთაშორისო, საქველმოქმედო ორგანიზაცია LDS Charities-ის წარმომადგენლებთან ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

სამუშაო შეხვედრაზე ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ასოციაციის საქმიანობას გავეცანით. სტუმრებს მივაწოდეთ ინფორმაცია ჯანმრთელობის და სოციალური კუთხით, ასევე შშმ პირთა მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. სამომავლოდ სამშვიდობო, ჯანმრთელობის, სოციალური, ჰუმანიტარული, შშმ პირთა მიმართულებით ერთობლივ პროექტებზე სამუშაო გეგმები დავსახეთ.

2022 წლის 19 აპრილი

მემორანდუმი თბილისის საკრებულოსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის

დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართული ღონისძიება უკრაინელი ხალხის მედიკამენტებით დახმარების აქციის ფარგლებში მოეწყო. მემორანდუმს ხელი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ნინო ოსეფაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის თანახმად, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება და თბილისის საკრებულო საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად ურთიერთ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. კერძოდ, უკრაინაში კრიზისულ სიტუაციაში მოწყვლადი მოსახლეობის მხარდასაჭერად და მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად, წითელი ჯვრის საზოგადოებამ აიღო ვალდებულება, დონორის მიერ ჩარიცხული თანხით შეიძინოს მედიკამენტები და უკრაინის წითელ ჯვარს გაუგზავნოს.

2022 წელის 20 აპრილი

მედიკამენტების გადაცემა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად

თბილისის საკრებულოში, დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრების, თანამშრომლების და ამავე აქციის მონაწილე მეგობარი კომპანიების შპს გუმბათი ჰოლდინგი+, შპს ჯსჯ გრუპი,შპს ოცნების სახლის მიერ შეგროვილი თანხით, საომარ ვითარებაში მყოფი, კრიზისულ სიტუაციაში მოწყვლადი მოსახლეობის მხარდასაჭერად, გადაუდებელი, პირველადი საჭიროების 19 სახეობის მედიკამენტი უკრაინაში

გასაგზავნად, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას გადავეცით, რომელმაც აღნიშნული მედიკამენტების ტრანსპორტირება და უკრაინის წითელი ჯვრისთვის მიწოდება უზრუნველყო.

2022 წლის 17 მაისი

ვიზიტი „ევექსის'' პოლიკლინიკაში

ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრი კახა ლაბუჩიძესთან ერთად ვეწვიე, ისნის რაიონში „ევექსის" ახლადგახსნილ პოლიკლინიკას.
დავათვალიერეთ არსებული გარემო, რომლის ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტებს მორგებულია, სადაც მოქალაქეები მათთვის საჭირო სერვისებს იღებენ.

2022 წლის 14 ივნისი

ვიზიტი ერთად, თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრში

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრს ვეწვიეთ. დავათვალიერეთ გარემო, სადაც პარასპორტსმენები ფიზიკურ მომზადებას გადიან.

14 ივნისს, საქართველოში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნება. ეს დღე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ შშმ პირთა უფლებების დაცვა, საზოგადოებაში მათი სრული ინტეგრირების პროცესის დაჩქარება, თითოეული ჩვენთაგანის სამოქალაქო ვალდებულებაა.

პარასპორტი, შშმ პირთა შესაძლებლობების რეალიზების, სრულფასოვანი, აქტიური ცხოვრების საუკეთესო საშუალებაა.

2022 წლის 15 ივნისი

ვიზიტი ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტში

სისხლის დონორის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტს ვეწვიე, ასევე უანგარო დონორობის კამპანიის ფარგლებში ჩავაბარე სისხლი.

უსაფრთხო სისხლი, გადამწყვეტ როლს თამაშობს, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების დროს. საქართველოში ყოველ წელიწადს, ათასობით ადამიანს ესაჭიროება სისხლის გადასხმა. ქვეყნის მასშტაბით 20-ზე მეტი სისხლის ბანკი ფუნქციონირებს, რომელთა მარაგის შევსება, რეგულარული დონაციის მეშვეობითაა შესაძლებელი.

2022 წლის 29 ივნისი

ჩართვა ტელეკომპანია მაესტროს პირდაპირ ეთერში

ტელეკომპანია მაესტროს პირადპირ ეთერში ვისაუბრე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური პროგრამების შესახებ, მათში ჩართვის კრიტერიუმების თაობაზე. ასევე ამომწურავად გავეცი პასუხი წამყვანის მიერ დასმულ კითხვებს.

2022 წლის 19 ივლისი

ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის განახლებული ფილიალის გახსნა

დედაქალაქის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის განახლებული ფილიალის გახსნას დავესწარი.

ადგილზე გავეცანი განხორციელებული სამუშაოებს.

რეაბილიტაციისა და სარემონტო სამუშაოების შედეგად, შენობა მთლიანად განახლდა და თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა.

2022 წლის 12 აგვისტო

სამუშაო შეხვედრა მრავალშვილიანთა საკითხებზე მომუშავე საინიციატივო გუნდის წარმომადგენლებთან

შეხვედრაზე სოციალურად დაუცველი სტატუსის არმქონე მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სხვადასხვა შეღავათების შემოღების შესახებ ვისაუბრეთ.

სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, მრავალშვილიანთა საკითხებზე მომუშავე საინიციატივო გუნდის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

2022 წლის 15 აგვისტო

ვიზიტი კრწანისის რაიონში მდებარე სოციალურად დაუცველთა სასადილოში

საკრებულოს კრწანისის მაჟორიტარ წევრთან ლევან ჯაფარიძესთან და ამავე რაიონის გამგებელთან ბექა მიქაუტაძესთან ერთად კრწანისის რაიონში მდებარე სოციალურად დაუცველთა სასადილო მოვინახულეთ. გავეცანით სასადილოს ყოველდღიურ მენიუს, დავათვალიერეთ სამზარეულო და საკვების დამზადების პირობები. ასევე, სასადილოს თანამშრომლებს და ამ სერვისით მოსარგებლე მოქალაქეებს შეხვდით.

2022 წლის 24 აგვისტო

სამუშაო შეხვედრა გაიმართა „ევროპა დონა საქართველოს“ წარმომადგენლებთან

სამუშაო შეხვედრა გავმართე „ევროპა დონა საქართველოს“ წარმომადგენლებთან. ვისაუბრეთ ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისთვის, საინფორმაციო კამპანიის „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ შესახებ, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქალებში კიბოს დროული გამოვლენის პრევენციული ღონისძიებების გატარებას, დაავადებათა ადრეულ გამოვლენას და დიაგნოსტიკას, გავრცელების შეზღუდვას, მკურნალობის დროულ დაწყებას.

დედაქალაქის ბიუჯეტიდან ამ დიაგნოზის მქონე ერთი მოქალაქის დასაფინანსებლად წელიწადში 29 ათასიდან 60 ათას ლარამდე თანხა გამოიყოფა.

არსებული პროგრამები ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ უზრუნველყოფას ემსახურება. ასევე მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით საინფორმაციო კამპანიებში საჯარო მოხელეების აქტივობები. კამპანიის „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ ფარგლებში, საჯარო სტრუქტურების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს „ევროპა დონა საქართველოს“ პრეზიდენტმა ანა მაზანაშვილმა და ვიცე პრეზიდენტმა ხათუნა ჭინჭარაშვილმა. დავსახეთ ურთიერთანამშრომლობის სამომავლო გეგემები.

2022 წლის 13 სექტემბერი

ვიზიტი თბილისის 191-ე და 163-ე საჯარო ბაგა-ბაღების შენობებში მდებარე სოციალური მზრუნველობის სააგენტოებში

საკრებულოს წევრებთან ერთად ვეწვიეთ ქალაქ თბილისის 191-ე და 163-ე საჯარო ბაგა-ბაღების შენობებში მდებარე სოციალური მზრუნველობის სააგენტოებს.

სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელმძღვანელმა დავით დოლიძემ სტატისტიკური მონაცემები გაგვაცნო. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგენტოს 30 სამოქმედო უბანი აქვს გახსნილი, რომლებიც საბავშვო ბაგა-ბაღებშია განთავსებული, ასევე სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების გადამზადების ხარისხსა და საქმიანობაზე ისაუბრა. როგორც დავით დოლიძემ აღნიშნა, სოციალური მუშაკების ვიზიტი უკვე 146 210 ოჯახში განხორციელდა. სააგენტოს ხელმძღვანელმა თბილისის

მუნიციპალიტეტში ბავშვის უფლებების და თავისუფლების მიზნით გატარებული და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებაც მოგვაწოდა ინფორმაცია და გაგვაცნო სოციალური მზრუნველობის სააგენტოს სოციალური მუშაკების მუშაობის სპეციფიკა.

2022 წლის 15 სექტემბერი

სამუშაო შეხვედრა გაიმართა ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლებთან

სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძესთან ერთად სამუშაო შეხვედრა გავმართეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან.

შეხვედრას მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქალაქო საქმეთა სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი თავართქილაძე და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღნიშნულ შეხვედრაზე, კონკრეტულად სპორტის სახეობა წყალბურთის განვითარების ხელშეწყობისთვის, თანამედროვე სტანდარტს მორგებული, შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ახალი საცურაო აუზების მშენებლობის აუცილებლობის მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ.

კერძო სექტორის წარმომადგენლებმა სახელმწიფოსთან ერთად ამ პროცესში ჩართულობის მზაობა გამოთქვეს.

2022 წლის 29 სექტემბერი

ვიზიტი აკადემიკოსი გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის ცენტრში არსებულ თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებს

გავეცანი და გულის მსოფლიო დღე მივულოცე ღვაწლმოსილ ექიმს გულიკო ჩაფიძეს.

2022 წლის 03 ოქტომბერი

ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

საკრებულოს წევრებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თვითმმართველობებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის შესახებ გამართულ შეხვედრას დავესწარი, რომელიც ERASMUS+_ ის მიერ თანადაფინანსებული პროექტის "მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში" (SQUARE)

ფარგლებში შედგა.შეხვედრაზე, თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული მესამე მისიის აქტივობების, მიღწევებისა და მიმდინარე პროგრესის შესახებ ისაუბრა. ასევე, პარიზის ხელოვნებისა და ხელოსნობის ეროვნული კონსერვატორიისა და ლისაბონის ნოვას უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, ფრანგულ და პორტუგალიურ უნივერსიტეტებში ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის გამოცდილება გაგვიზიარეს და საზოგადოების განვითარებისთვის უნივერსიტეტებისა და თვითმმართველობების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

2022 წლის 05 ოქტომბერი

ვიზიტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში

შევხვდი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ილია ღუდუშაურს. აღნიშნულ შეხვედრაზე, სხვადასხვა ფედერალურ და თვითმმართველობის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე ვისაუბრეთ. ასევე, ამ მიმართულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სამინისტროს შორის სამომავლო ურთიერთობისა და პროგრამების - ქვეპროგრამების განხორციელების პროცესში მჭიდრო კომუნიკაციის გეგმა დავსახეთ.

2022 წლის 11 ოტომბერი

ვიზიტი ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრში „მზის სივრცე''

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე გიორგი ვოლსკისთან, თბილისის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელ მდივანთან გიგა სოფრომაძესთან ერთად მოვინახულე ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი "მზის სივრცე". ბენეფიციარებს შემოდგომის დადგომა მივულოცეთ და გამართულ აქტივობებში მივიღეთ მონაწილეობა.

2022 წლის 13 ოქტომბერი

ვიზიტი სკრინინგ ცენტრის ფილიალში

კომისიის წევრებთან და დედაქალაქის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან ერთად, ეროვნული სკრინინგ ცენტრის ვარკეთილის ფილიალში ვიმყოფებოდით. გავეცანი ფილიალის მუშაობას, სკრინინგ ცენტრის დირექტორთან ეთერ კიღურაძესთან ერთად არსებული გარემო დავათვალიერე და ფილიალის განვითარების სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ.

ეროვნული სკრინინგ ცენტრის ფილიალები, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით დედაქალაქში ოთხ ლოკაციაზეა განთავსებული.

ზურაბ ჩიკვილაძე - ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი

2021 წლის დეკემბრიდან დღემდე კომისიამ განიხილა და დახმარება გაუწია დაახლოებით 11 247 ბენეფიციარს, რაზეც 12 469 730 ლარი გამოიყო, შემდეგი კლასიფიკაციით:

დაავადების კლასი	რაოდენობა	კომისიის გადაწყვეტილება (ლარი)
ინფექციური დაავადებები	60	31,052
სიმსივნეები	2,775	4,707,831
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	798	793,889
ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	386	145,873
ფსიქიკური და ქცევითი აშლილოებები	133	71,461
ნერვული სისტემის დაავადებები	651	607,090
თვალის, მისი დანამატებისა და ყურის, დვრილისებრი მორჩის დაავადებები	123	96,077
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	2,063	1,861,347
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	181	203,460
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	590	557,770

ძვალ - კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	1,052	1,143,708
შარდ - სასქესო სისტემის დაავადებები	770	717,910
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	10	4,265
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები	4	16,248
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	157	192,005
განვითარების ეტაპების დაყოვნება	466	291,953
დაზიანებები (ტრავმები, მოწამვლები)	270	402,414
ყველა სხვა დაავადება	758	625377

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრის ზურაბ ჩიკვილაძის და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15[1] მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.

წარმომადგელობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების, მათ შორის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმის წარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, შესწავლას;
- წარმომადგენლობაში შესული განცხადებების, წერილების ანალიზს და შესაბამის რეაგირებას;

- სათანადო დასკვნების, რეკომენდაციების ან/და წინადადებების მაჟორიტარი საკრებულოს წევრისთვის წარდგენას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში ხელშეწყობას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების /პრობლემების აღმოფხვრისა და გადაწყვეტისათვის მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადით შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ხელშეწყობას;
- წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმშია. სამაჟორიტარო ტერიროტორიაზე ვრცელდება ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ორი საუბნო განყოფილების საქმიანობა.

წარმომადგენლობა თანამშრომლობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

მაჟორიტარი წევრის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება ყოველი კვირის ხუთშაბათ დღეს.

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული საჭიროებები

მოალაქეებთან შეხვედრების, წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში გამოვლინდა საჭიროებები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ:

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება;
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება;
- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის მიზნობრივი ფულადი დახმარების საჭიროება;
- ბინის ქირით უზრუნველყოფის საჭიროება;
- უსახლკაროდ რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის საჭიროება;
- საახალწლო და სააღდგომო ნობათების საჭიროება;
- ბინის დაკანონება/რეგისტრაციის საჭიროება.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

- გზების მშენებლობა;
- სანიაღვრე ქსელების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება;
- ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება.

ტრანსპორტის მიმართულებით:

- საგზაო მოძრაობის ორგანიზება.

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული ბაღების და სკვერების კეთილმოწყობა;

- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა .

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებში შეჭრილი მოსახლეობის ფართების დაკანონება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის საჭიროება.

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

წარმომადგენლობაში ვიზიტზე იმყოფებოდა და კონსულტაცია გაეწია 400-მდე მოქალაქეს, შემოსულია 227 წერილი/განცხადება, რომელიც შუამდგომლობით გადაგზავნილია სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. კერძოდ,

1. **მიზნობრივი ფულადი დახმარების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 88;
2. **ბინის ქირით უზრუნველყოფის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 9;
3. **საცხოვრებელი სახლის ავარიულობის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა 11;
4. **უსახლკაროდ რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 8;
5. **საახალწლო და საღდგომო ნობათების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 50;
6. **ოპერაციის დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 7;
7. **მედიკამენტების დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების -13;
8. **საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 2;
9. **ბინის დაკანონება/რეგისტრაციის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა -4;
10. **ინიციატორული წერილების** რაოდენობა -2;
11. **სხვა სახის შემოსული წერილების** რაოდენობა შეადგენს 31-ს.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნვუულყოფა

ჩემს წარმომადგენლობასთან ერთად ჩართული ვარ სამაჟორიტარო ოლქში არსებული ექვსი სოციალურად დაუცველთა სასადილოს ფუნქციონირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა მოგვარებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით ჩვენგან პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

3178 ბენეფიციარის მედიკამენტების დაფინანსება, რომლიც შეადგენს 501 331 ლარს.

1019 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომლიც შეადგენს 330 487 ლარს.

2430 ბენეფიციარს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომელიც შეადგენს 426 110 ლარს.

200 ბენეფიციარს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით, რომლიც შეადგენს 51 611 ლარს.

188 დაკრძალვის მომსახურების დაფინანსება, რომლიც შეადგენს 92 720 ლარს.

3100 ბენეფიციარზე გაიცა საახალწლო ნობათი, რომლიც შეადგენს 228 470 ლარს.

3100 ბენეფიციარზე გაიცა სააღდგომო ნობათი, რომლიც შეადგენს 161 820 ლარს.

3600 უფასო სასადილოებით მომსახურება, რომლიც შეადგენს 1 076 354 ლარს.

14 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო დახმარება, რომლიც შეადგენს 4 900 ლარს.

170 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები, რომლიც შეადგენს 519 967 ლარს.

5 ომის ვეტერანის დახმარება, რომლიც შეადგენს 775 ლარს.

ინფრასტრუქტურა

ჩემი როგორც, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

მოწესრიგებული ქუჩების რაოდენობა შეადგენს 42-ს.

29 ქუჩაზე, 38 732.26 კვ.მ. ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი, რომლის ღირებულება შეადგენს 2 510 268.40 ლარს.

12 ქუჩაზე, 2075.20 კვ.მ. ფართობზე მოეწყო ქვაფენილი, რომლის ღირებულება შეადგენს 341 017.78 ლარს.

1 ქუჩა 144 კვ.მ. ფართობი მოიხრეშა, რომლის ღირებულება შეადგენს 14 164.75 ლარს.

ასფალტის საფარის ორმოულად შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 18 ქუჩაზე, 3220.50 კვ.მ. ფართობზე, რომლის ღირებულება შეადგენს 191 126.81 ლარს.

კეთილმოწყობის ღონისძიებები

56.50 მ-ის სანიაღვრე ქსელის შეკეთება განხორციელდა 2 მისამართზე, რომლის ღირებულება შეადგენს 6 444.76 ლარს.

47.50 მ-ის წყალარინების ქსელის შეკეთება განხორციელდა 1 მისამართზე, რომლის ღირებულება შეადგენს 14 874.61 ლარს.

წყალ-კანალიზაცია მოეწყო 20 მისამართზე (თბილისური ტიპის ეზეში), რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 342 981.73 ლარს.

გაზიფიცირება განხორციელდა 3 მისამართზე, რომლის ღირებულება შეადგენს 2 400 ლარს.

მოეწყო 7 ახალი საჩრდილობელი, რომლის ღირებულება შეადგენს 29 488.45 ლარს.

მოწყო 35 ახალი საპარკე სკამები, რომლის ღირებულება შეადგენს 16 365.34 ლარს.

მოეწყო 5 ახალი ურნა, რომლის ღირებულება შეადგენს 1534.95 ლარს

52 მისამართზე განხორციელდა არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 143 361.44 ლარს.

2 მისამართზე მოეწყო ახალი სკვერი, რომლის ღირებულება შეადგენს 83 591.66 ლარს.

3 მისამართზე მოეწყო ახალი ფიტნეს ტრენაჟორი, რომლის ღირებულება შეადგენს 61 603.87 ლარს.

28 მისამართზე მოეწყო გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლები, რომლის ღირებულება შეადგენს 1 452 530.38 ლარს.

22 მისამართზე დაირგო 34 ხე-მცენარე, რომლის ღირებულება შეადგენს 39 981 ლარს.

26 მისამართზე ჩაუტარდა აღდგენა-რეაბილიტაცია არსებულ სპორტულ მოედნებს, რომლის ღირებულება შეადგენს 102 622.62 ლარს.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა - სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული პროექტები

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 1558 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განახორციელა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის როგორიცაა: სახურავის, წყალსაწრეტის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციის, სადარბაზოს, ნაპრალებისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3 მისამართზე კიბე-აივანი, რომლის ღირებულება შეადგენს 99 374.64 ლარს.

14 მისამართზე კიბე, რომლის ღირებულება შეადგენს 118 082.96 ლარს.

5 მისამართზე აივანი, რომლის ღირებულება შეადგენს 82 524.68 ლარს.

12 მისამართზე ჭიშკარი, რომლის ღირებულება შეადგენს 29 054.96 ლარს.

1 მისამართზე თაღი, რომლის ღირებულება შეადგენს 11 637.88 ლარს.

19 მისამართზე ქანობიანი სახურავის შეკეთება, რომლის ღირებულება შეადგენს 253 958.3 ლარს.

4 მისამართზე ქანობიანი სახურავი-წყალსაწრეტი, რომლის ღირებულება შეადგენს 55 738.79 ლარს.

6 მისამართზე ბრტყელი სახურავი და წყალსაწრეტი, რომლის ღირებულება შეადგენს 152 684.47 ლარს.

7 მისამართზე განხორციელდა სადარბაზოს რემონტი, რომლის ღირებულება შეადგენს 116 262.46 ლარს.

10 მისამართზე განხორციელდა ლიფტის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 301 485.84 ლარს.

4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამგარებითი სამუშაოები და პროექტების მომზადება განხორციელდა 21 მისამართზე, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 3 519 047.24 ლარს.

5 მისამართზე განხორციელდა გამაგრების პროექტების მომზადება, რომლის ღირებულება შეადგენს 22 863.20 ლარს.

კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა

ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებს შორის გამართული სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის მომსახურება: ფეხბურთის, ფრენბურთის და ჭადრაკის ტურნირი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 13 470 ლარს.

1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საბავშვო ღონისძიების მოწყობის ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რომლის ღირებულება შეადგენს 5360 ლარს.

რაიონის ტერიტორიაზე რაიონის მაცხოვრებლებს შორის მინი ფეხბურთის ტურნირის „ჩუღურეთის თასი 2022“ ჩატარებისთვის საჭირო მომსახურების გაწევა, რომლის ღირებულება შეადგენს 10 380 ლარს.

მასწავლებლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ჩუღურეთის რაიონის საჯარო სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგებისთვის კულტურული ღონისძიების ორგანიზება, რომლის ღირებულება შეადგენს 11 860 ლარს.

განხორციელებული აქტივობები

2022 წლის 26 იანვარი

თბილისის მერთან, კახა კალაძესთან ერთად ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში, მიწისქვეშა სატუმბი სადგურის მშენებლობის პროცესს გავეცანი. თბილისის მერიამ აღნიშნულ დასახლებაში წყალარინების ქსელის მოწყობა დაიწყო.

წყალარინების ქსელს თბილისის მერია კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მომზადებული პროექტის მიხედვით აწყობს. ტერიტორიის გარკვეული ნაწილის რელიეფური მდებარეობის გამო, წყალარინების ცენტრალურ ქსელზე თვითდინებით დაერთება შეუძლებელია, ამიტომ, პროექტის საწყის ეტაპზე, მიწისქვეშა სატუმბი სადგურის მშენებლობა მიმდინარეობს, რაც ქსელის გამართულ და შეუფერხებელ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

სადგურის მშენებლობის პარალელურად, ივერთუბნის დასახლებაში მდებარე რამდენიმე ქუჩაზე, კერძოდ, ხერხეულიძის ქუჩაზე და შერვაშიძის ქუჩის შესახვევებში მოეწყობა წყალარინების ქსელი, რომელიც შემდგომში, სატუმბ სადგურს დაუერთდება. სატუმბ სადგურს ასევე დაუერთდება ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური ქსელი.

ივერთუბნის დასახლებაში წყალარინების ქსელის მოწყობა ეტაპობრივად განხორციელდება და ამისთვის ჯამში, 7 მლნ ლარი დაიხარჯება.

2022 წლის 2 მარტი

ვიზიტი როსტოვის N2-ში

ჩუღურეთის რაიონში, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, როსტოვის N2-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოებს გავეცანი.

2022 წლის 16 მარტი

ვიზიტი მნათობის N7-9 ნომერში,

ჩუღურეთის რაიონში, მნათობის N7-9 ნომერში, მწვავედ ავარიული ფერდობის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები მოვინახულე.

2022 წლის 10 აპრილი

შეხვედრა ნინოშვილის ქუჩის მოსახლეობასთან

ნინოშვილის ქუჩის მონაკვეთზე, 1600 კვადრატულ მეტრზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაგების პროცესი მოვინახულე, შევხდი ადგილობრივ მოსახლეობას, გავეცანი მათ საჭიროებებს.

2022 წლის 21 აპრილი

ვიზიტი მეუნარგიას ქუჩის N19-ში

ჩუღურეთის რაიონში, მეუნარგიას ქ. N19-ში, მწვავედ ავარიული ფერდობის გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები დავათვალიერე. შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას.

2022 წლის 29 აპრილი

ვიზიტი თამარაშენის მე-2 ჩიხში

თამარაშენის მე-2 ჩიხში ავარიული ფერდობის გზის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები მოვინახულე, გავეცანი პროექტის მიმდინარეობას და გავესაუბრე ადგილობრივ მოსახლეობას.

2022 წლის 25 მაისი

ვიზიტი აღმაშენებლი N53-ში

ძველ თბილისურ ეზოში (აღმაშენებლის 53) სადაც 30 მდე ოჯახი ცხოვრობს, დასრულებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გავეცანი.

2022 წლის 29 მაისი

ვიზიტი ჩუბინაშვილის ქუჩაზე

გავეცანი ჩუბინაშვილის ქუჩაზე ახლად დასრულებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

2022 წლის 07 ივნისი

ვიზიტი უშანგი ჩხეიძის ქ.N5-ში

ჩუღურეთში უშანგი ჩხეიძის ქ. N5-ში ვიმყოფებოდი, სადაც პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობდა უმძიმეს მდგომარეობაში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის განახლება-რეაბილიტაცია.

2022 წლის 08 ივნისი

ვიზიტი ც.დადიანის N39-ში

ც.დადიანის 39- ის დიდ ეზოში ვიმყოფებოდი, სადაც დავათვალიერეთ განახლებული სკვერი და შევხვდი მოსახლეობას.

2022 წლის 09 ივნისი

ვიზიტი ღვაწლმოსილ მეცნიერ ქ-ნ ელენა აბაშიძესთან

თბილისის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან, გელა ჩივიაშვილთან ერთად, თბილისის მერის კახა კალაძის სახელით, 100 წლის იუბილე მივულოცე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, 13 200 ექსპერიმენტის და 540 მეცნიერული ნაშრომის ავტორს ქ-ნ ელენა აბაშიძეს.

2022 წლის 21 ივნისი

ვიზიტი წინამძღვრიშვილის N23-ში

ძველ თბილისურ ეზოში, წინამძღვრიშვილის 23-ში, გამგებელთან დავით უთმელიძესთან, პარლამენტის დეპუტატთან რიმა ბერაძესთან ერთად ვიმყოფებოდი, სადაც გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, საცხოვრებელი სახლის გადახურვა წარმატებით დასრულდა.

2022 წლის 28 ივნისი

ვიზიტი მარჯანიშვილის N31-ში

მარჯანიშვილის ქუჩის N 31-ში, გამგებელთან დავით უთმელიძესთან, პარლამენტის დეპუტატთან რიმა ბერაძესთან ერთად ვიმყოფებოდი, სადაც კიდევ ერთი წინა საარჩევნო დაპირება შესრულდა და გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ორი სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაო წარმატებით დასრულდა.

2022 წლის 19 ივლისი

ვიზიტი წინამძღვრიშვილის N57-ში

წინამძღვრიშვილის ქ.57-ში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, გავეცანი სამგზავრო ლიფტების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას.

2022 წლის 11 აგვისტო

ვიზიტი ივერთუბნის დასახლებაში

ქ. თბილისის მერთან, კახა კალაძესთან ერთად მოვინახულე ხერხეულიძეების ქუჩის მიმდებარედ არსებულ 5 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე მშენებარე პარკი, რომელსაც

თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში ახორციელებს.

2022 წლის 13 აგვისტო

ვიზიტი უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე

უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე, 1545 კვადრატულ მეტრ ფართობზე ასფალტის საფარის დაგების და რეაბილიტაციის პროცესს გავეცანი.

2022 წლის 22 აგვისტო

ვიზიტი თამარ მეფის გამზირზე

თამარ მეფის გამზირზე გზის დასრულებულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან ერთად გავეცანი.

პროექტის ფარგლებში, გამზირზე დაიხაზა საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ზოლი. ასევე, სრულად განახლდა საგზაო ნიშნები, შუქნიშნით რეგულირებადი „ზებრა“ გადასასვლელები და გზის გამყოფი კუნძულები.

გარდა ამისა, ტერიტორიაზე მოეწყო სარწყავი სისტემა და მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოები. ტერიტორია სრულად ადაპტირდა შშმ პირებისთვის.

2022 წლის 09 სექტემბერი

ვიზიტი ივერთუბანში

ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში დასრულებული წყალარინების მიწისქვეშა სატუმბი სადგური, თბილისის მერთან კახა კალაძესთან, მოადგილესთან ირაკლი ბენდელიანთან, პარლამენტის წევრ რიმა ბერაძესთან, თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსთან ლევან ნაროუშვილთან ერთად დავათვალიერე.

ივერთუბანში, სადაც 1100 ოჯახი ცხოვრობს, უმნიშვნელოვანესი პროექტი განხორციელდა. მიწისქვეშა კომუნიკაციების არ არსებობა დიდ სიძნელეებს უქმნიდა მოსახლეობას.

2022 წლის 27 სექტემბერი

ვიზიტი გოგოლის ქუჩა N7-ში

პარლამენტის დეპუტატთან რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან ზურაბ ბაქანიძესთან ერთად ჩუღურეთის რაიონში, გოგოლის 7-ში მოსახლეობას შევხვდი, სადაც სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

2022 წლის 06 ოქტომბერი

პედაგოგებთან შეხვედრა

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ გამართულ პედაგოგების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას პარლამენტის დეპუტატ რიმა ბერაძესთან, საკრებულოს მაჟორიტარ წევრ კახა ლაბუჩიძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ ზურაბ ბაქანიძესთან ერთად დავესწარი.

პედაგოგებს პროფესიული დღე მივულოცე და გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადავუხადე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში 15 სხდომა ჩატარდა. მიღებული იქნა 649 განკარგულება და 112 დადგენილება.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ 14 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 47, დავესწარი 12 სხდომას და შევისწავლე 43 საკითხი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი

საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს" მიერ 23 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 42, დავესწარი 21 სხდომას და შევისწავლე 40 საკითხი.